ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება № 2242532

გაცემის თარიღი: 16/10/2015 გაცნობის თარიღი: 16/10/2015

განცხადების ნომერი: AR1346497

შემოსვლის თარიღი: 02/10/2015

შედეგი: **თანხმობა**

მიწის ნაკვეთ(ებ)ი / ობიექტ(ებ)ი:

- საკადასტრო კოდი: 01.17.13.045.097
- მისამართი: ქალაქი თბილისი , ქუჩა ბოჭორმის , N 25 , (ნაკვეთი N45/29) / ქალაქი თბილისი , ქუჩა ბოჭორმის , N 25 , (ნაკვეთი N45/30) / ქალაქი თბილისი , ქუჩა ბოჭორმის , N 25 , (ნაკვეთი N45/31) / ქალაქი თბილისი , ქუჩა ბოჭორმის , N 25 , (ნაკვეთი N45/32) / ქალაქი თბილისი , ქუჩა ბოჭორმის , N 25 , (ნაკვეთი N45/33) / ქალაქი თბილისი , ქუჩა ბოჭორმის , N 25 , (ნაკვეთი N45/36)
- ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
- ფართობი: 4197.3 კვ.მ
- მესაკუთრე(ები): შპს "აქსის გრუპი" (404954117)

- საკადასტრო კოდი: 01.17.13.045.034
- მისამართი: ქალაქი თბილისი , ქუჩა ბოჭორმის , N 25 , (ნაკვეთი N45/34)
- ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
- ფართობი: 1359.0 კვ.მ
- მესაკუთრე(ები): შპს "აქსისი" (211393357)

ნომენკლატურა :

- **მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები**
- **მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება**

დამკვეთი - განმცხადებელი:

- გიორგი კაპანაძე პ/ნ 01024018293
- მისამართი: ბერძნის ქ.39

ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 19.09.2007 წ. #9665 ქალაქთმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 02.10.2015 წ. #AR1346497 განცხადებით მომართა გიორგი კაპანაძემ და მოითხოვა ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 19.09.2007 წ. #9665 ქალაქთმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანა.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ ქ. თბილისში, ისანი–სამგორის რაიონში, ქუჩა ბოჭორმის ქუჩა N25–ში მდებარე მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსის (საცხოვრებელი ბინები, სავაჭრო–კომერციული ობიექტები) ასაშენებლად დადგენილი იქნა 19.09.2007 წ. #9665 ქალაქთმშენებლობითი პირობები. აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი გაცემული იქნა მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით: 01.17.13.045.002 (ფართობი 6044 კვ.მ.).

განმცხადებლის მიერ სამსახურში წარმოდგენილი იქნა ახალი ამონაწერები და საკადასტრო გეგმები საჯარო რეესტრიდან (საკადატრო კოდი: N01.17.13.045.097 (ფართობი: 4197 კვ.მ.), N01.17.13.045.034 (ფართობი: 1359 კვ.მ.) და N01.17.13.045.035 (ფართობი: 487 კვ.მ.)), რომლის თანახმადაც შეცვლილია საკადასტრო ერთეულის მონაცემები.

“მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ~ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 99-ე მუხლის თანახმად იმ ობიექტებზე, რომელთა მიმართაც ამ დადგენილების ძალაში შესვლამდე დაწყებულია მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურა ან გაცემულია მშენებლობის ნებართვა, მაგრამ შენობა-ნაგებობა არ არის ვარგისად აღიარებული, გავრცელდება განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედი კანონმდებლობა. ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 19.09.2007 წ. #9665 ქალაქთმშენებლობით პირობები გაცემულია “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ~ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს #140 დადგენილების საფუძველზე, რომლის თანახმადაც ქალაქთმშენებლობით პირობებში უნდა აისახოს საკადასტრო ერთეულის ცვლილებები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და ვინაიდან, საპროექტო მიწის ნაკვეთზე ნაწარმოებია სამშენებლო სამუშაოები, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ქალაქთმშენებლობით პირობებში შეიტანოს ცვლილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ~ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 99-ე მუხლის, “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ~ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს #140 დადგენილებისა და ,,ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურისათვის ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში ცვლილებების და დამატებების შეტანის, შეცდომის გასწორების, მათი ბათილად ცნობის, ძალადაკარგულად გამოცხადებისა და არარად აღიარების უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე’ ’ ქალაქ თბილისის მერის 2009 წლის 9 მარტის #194 განკარგულების შესაბამისად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ბრძანება

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის

19.09.2007 წ. #9665 ქალაქთმშენებლობით პირობებში, კერძოდ დაემატოს ახალი ამონაწერები და საკადასტრო გეგმები საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო ერთეული N01.17.13.045.097 (ფართობი: 4197 კვ.მ.), N01.17.13.045.034 (ფართობი: 1359 კვ.მ.) და N01.17.13.045.035 (ფართობი: 487 კვ.მ.));

2. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 19.09.2007 წ. #9665 ქალაქთმშენებლობით პირობებში, კერძოდ: მიწის ნაკვეთის ფართობი მიეთითოს-6043 კვ.მ., საკადასტრო კოდი დაფიქსირდეს-N01.17.13.045.097, N01.17.13.045.034 და N01.17.13.045.035;

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 19.09.2007 წ. #9665 ქალაქთმშენებლობით პირობებთან ერთად;

- კითხვების შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ: მერიის ცხელ ხაზს 2722222, არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციას, ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზს 2378346. ასევე მობრძანდეთ არქიტექტურის სამსახურის საკონსულტაციო ოთახში შარტავას ქ. #7 მერიის შენობა მეორე სართული ოთახი #9, ან რაიონულ გამგეობებში არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენლებთან.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.